ხელშეკრულება № 7014/52

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „3" „დეკემბერი" 2014 წ.

სსიპ „სამართლიანი", შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გიორგი მეელუმიანის** სახით და შპს **„იბერია სერვისი"**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი **დირექტორის დავით ჯოხაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

მსუბუქი ავტომანქანების სახურავის დისკები (CPV-34324000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **520.00 (ხუთას ოცი)** ლარს.

3.2. ერთი ცალი მსუბუქი ავტომანქანის სახურავის დისკის - (შავი ფერის, ლითონის, ზომა - 15") ღირებულება შეადგენს - 130.00 (ას ოცდაათი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განხორციელოს 4 (ოთხი) ცალი დისკის - (შავი ფერის, ლითონის, ზომა - 15") მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში საკუთარ სერვისცენტრში, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-2 კმ.;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

საქონელზე (გარდა ფიზიკური ზემოქმედების შედეგად მიყენებული დაზიანების შემთხვევაში) გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10,000.00 კმ გარბენის რესურსის ამოწურვამდე ან მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 6 თვის განმავლობაში, რომელიც უფრო ადრე ამოიწურება.

6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „სმართ ლოჯიქის" ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის უფროსი თენგიზ თიკანიშვილი და ეკონომიკური სამსახურის ლოჯისტიკის სპეციალისტი ზურაბ ჯანიაშვილი.

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების წესისმიერ ეტაპზე.

6.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ საქონელს აღმოაჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს წუნი ან ჩანაცვლოს წუნდებული საქონელი ახლით.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო - 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში, თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების 0.02%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან წაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „სმართ ლოჯიქი",
წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის
შემსრულებლის გიორგი მეჟლუმიანის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,

ტელეფონი: 240 51 60,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 206350599

მიმწოდებელი:

შპს „იბერია სერვისი",
წარმოდგენილი დირექტორის
დავით ჯოხაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის
ხეივანი, მე-2 კმ.
ტელეფონი: 2506060,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE79BG0000000875689101,
სს „საქართველოს ბანკი" კოდი: BAGAGE22,
სკ - 204982359

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„3“ „დეკემბერი“ 2014 წ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ „სმართ ლოჯიქი“-ს მიერ, მსუბუქი ავტომანქანების საბურავის დისკების სახელმწიფო შესყიდვასთან, დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში შპს „იბერია სერვისთან“ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ „სმართ ლოჯიქი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

_____ გიორგი მეჟლუმიანი

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის უფროსი

_____ თენგიზ თიკანიშვილი

სსიპ „სმართ ლოჯიქი“-ს ეკონომიკური სამსახურის უფროსი

_____ ირაკლი ბალიაშვილი

სსიპ „სმართ ლოჯიქის“ იურისტი

_____ რობერტ მაღლაკელიძე

სსიპ „სმართ ლოჯიქი“-ს ეკონომიკური სამსახურის ლოჯისტიკის სპეციალისტი

_____ ზურაბ ჯანიაშვილი